## ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

## ო ქ მ ი #8

ქ. ონი 15 აგვისტო 2018 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე შუქურა ჯაფარიძე.

**ბიუროს 12 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 8 წევრი:** შუქურა ჯაფარიძე, ბაჩანა მარკოიშვილი, ვასილ მეტრეველი, გელა მეტრეველი, გივი მეტრეველი, გიორგი მარკოიშვილი, სერგო ლობჯანიძე, გოჩა მეტრეველი.

**არ ესწრებოდა 4 წევრი:** ვანო ბაღაშვილი, სონია გუგეშაშვილი, ვლადიმერ ჩლაიძე, ნოდარ ბურდილაძე.

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს აპარატის უფროსი ალექსანდრე კერვალიშვილი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი მარიამ გობეჯიშვილი, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი თინათინ ბროლაშვილი.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

    მომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი

2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

    მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

3. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

4. 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: თეიმურაზ გრძელიშვილი-მერიის სივრცით მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

დღის წესრიგი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

დამტკიცდა დღის წესრიგი

**მოისმინეს:** 1. ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი: თინათინ ბროლაშვილი-მერიის საფინანსო სამსახურის ბიუჯეტის ანალიზისა და დაგეგმარების განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ; (პროექტი თან ერთვის) აზრი გამოთქვა ალ. კერვალიშვილმა და აღნიშნა, რომ მერიაში შეტანილი იყო ქ. ონში გვანცა-დედოფლის ქუჩის მცხოვრებთა ერთი ნაწილის განცხადება ყოფილი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნარჩენებისგან გაწმენდისა და მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მოწყობის თაობაზე. შედგა ხარჯთარღიცხვა. სასურველი იქნება მოძიებული იქნას ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული თანხა 3 821 (სამი ათას რვაას ოცდაერთი) ლარი და წელსვე მოესწროს სამუშაოს დასრულება. რაც შეეხება სოფ. შარდომეთის გზას, საინტერესო იქნება გაკეთდეს რამდენიმე წლის ანალიზი-რამდენჯერ იქნა გამოყოფილი აღნიშნულ გზაზე და მდ. რიონზე ჯებირის გასაკეთებლად თანხა და რა რაოდენობით საერთო ჯამში, ხომ არ არის უფრო მეტად მიზანშეწონილი, ვიფიქროთ ალტერნატიულ გზაზე, ვინაიდან არსებული გზა მეტად პრობლემატურია და თითქმის ყოველწლიურად საჭიროებს შეკეთებას.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 2. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო -სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 3. ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

მომხსენებელი: მარიამ გობეჯიშვილი-მერიის ადმინისტრაციული სამსახურის

იურიდიული განყოფილების უფროსი

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) მიზნით შენობა-ნაგებობების გამოყოფის შესახებ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

**გადაწყდა:** საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

**მოისმინეს:** 4. 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: თეიმურაზ გრძელიშვილი-მერიის სივრცით მოწყობისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი

ბიუროს სხდომაზე მომხსენებლის, თეიმურაზ  გრძელიშვილის არ ყოფნის გამო,  ბიუროს წევრებს საკითხი, 2018 წელს ონის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების მოწონების შესახებ, წარუდგინა სხდომის თავმჯდომარემ.

საკითხი დადგა კენჭისყრაზე

მომხრე-ყველა, წინააღმდეგი-არცერთი

**გადაწყდა:**  საკითხი განხილული იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ  სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

**შუქურა ჯაფარიძე**

საკრებულოს თავმჯდომარე